06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	109.5	24.7	22.6
06 02 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5	1.5	60.0
06 02 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	53.8	44.9	83.6

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის III კვარტლის გეგმა	2024 წლის III კვარტლის ფაქტი	შესრულების %
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	15.0	1.0	6.7
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	82.8	71.4	86.3
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	2.5	-	-
06 02 19	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	5.3	5.0	94.3
06 02 20	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	2.5	1.5	60.0
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	3.5	3.5	100.0
06 02 22	ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	8.1	8.1	100.0
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	114.0	91.1	79.9
06 02 25	რისკის ქვეს მყოფი 0-18 წბავშვის ოჯახის გაძლიერების პროგრამა	30.0	14.9	49.7

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური წარმოგიდგენთ 2024 წლის III კვარტლის სოციალური პროგრამების კუთხით ინფორმაციას:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 148 700 ლარით, პროგრამის მიზანს წარმოდაგენს ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით. მიმდინარე წლის დასაწყისიდან პროგრამით ისარგებლა 99 ბენეფიციარმა პროგრამიდან გახარჯულია 97074 ლარი. პროგრამა გათვლილია 115 ბენეფიციაზე. პროგრამით განხორციელდა
99 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა. საიდანაც ქალი-63,კაცი-36. პროგრამის განხოციელებით ხელი შეეწყო უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 33700 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა , რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდომარეობას. პროგრამით სარგებლობდა ის ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და რომელთა ოჯახები არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სარგებლობს 20 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 24280 ლარი. პროგრამის განხოციელებით ხელი შეეწყო მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას,პროგრამით ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება. პროგამით ისარგებლა სულ 84-მა ბავშვმა საიდანაც გოგო- 49, ბიჭი -35.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 91 000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე ძალადობის მსვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალიწინებულია ბინის ქირის გადახდა. პროგრამით ისარგებლა 60-მა ოჯახმა, საიდანაც ქალი-60 ,კაცი- 49, ბიჭი- 30, გოგო- 41 .მათ შორის ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი. პროგრამიდან გახარჯულია 68700 ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა

ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების, ძალადობის მსხვერპლი ქალბატონის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 57000 ლარით. პროგრამის მიზანია ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობს 87 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 42816 ლარი. პროგრამიდან დაფინანსდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახები, სულ (66 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 130 000-ს ,ყოველთვიურად გაეწია 50 ლარით დახმარება, მათ შორის პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად გაიცა 100 ლარით დახმარება (ერთი შშმ ვეტერანი). ასევე,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახებზე გაიცა ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პროგრამიდან განხორციელდა ოთხი ვეტერანის სარიტუალო მოსახურების ხარჯის დაფინანსება 250 ლარის ოდენობით. ამავე პროგრამიდან განხორციელდა დედის დღესთან , 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების ერთჯერადად 300 ლარით დასაჩუქრება (14 დედა);.
8 აგვისტოს და ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებს საჩუქრად გადაეცა 500 ლარი. 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ოჯახზე გაიცა დახმარება 500 ლარის ოდენობით. პროგრამის მეშვეობით ხორციელდება ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური თანადგომა. პროგრამით განხორციელდა 88 ოჯახის დახმარება. ქალი-28 ,კაცი-60.

5. სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20000 ლარით. პროგრამის მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთლობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (99 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 14000 ლარი. პროგრამის მეშვეობით განხორციელდა მოსწავლეების ტრანსპორტირებით ხელშეწყობა. პროგრამით განხორციელდა 99 მოსწავლის ტრანსპორტირებით დახმარება.

6. ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა;

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15800 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსოქო–სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 11800 ლარი. პროგრამის განხოციელებით ხელი შეეწყო სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 13000 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 10080 ლარი. პროგრამის განხოციელებით ხელი შეეწყო დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას და ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას. ქალი 3 კაცი 13.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15300 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშეშე მერქნის შესაძენად, მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 61 ოჯახი. დახმარება გაცემულია 33 ოჯახზე. პროგრამიდან გახარჯულია 8750 ლარი. პროგრამის მეშვეობით განხორციელდა დევნილთა ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. პროგრამით მოსარგებლეებიდან ქალი-22, კაცი-7.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 160 000 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა,ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება ,მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიებისა და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 50 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა : სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების , ანგიოგრაფიული კვლევისა და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ პროგრამიდან გახარჯულია 119818 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულება აღებულია 53714 ლარზე. პროგრამის მეშვეობით განხორციელდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამით ისარგებლა 575-მა ბენეფიციარმა. სიდანაც ქალი-255, კაცი- 288 , გოგო- 9, ბიჭი- 23.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 30 000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს, რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურდ დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს , მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშეშე მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება

150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.

საშეშე მერქნის შესაძენად 43 ბენეფიციარზე გაიცა ფინანსური დახმარება, საიდანაც 23 მარტოხელა მოხუცია. 11 მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ქალი. პროგრამიდან გახარჯულია-13738 ლარი. პროგრამის მეშვეობით განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. მოსარგებლეებიდან 6 კაცი, 37 ქალი.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50 000 ლარით. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 19-მა ბენეფიციარმა. საიდანაც 6-ქალი,13-კაცი. პროგრამიდან გახარჯულია 24700 ლარი. პროგრამის განხოციელებით პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობას ხელი შეეწყო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. პროგრამიდან გახარჯულია 1500 ლარი, თანხა გაიცა 6 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობაზე. 2 ქალი, 4 კაცი.

13.ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციისა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 70 000 ლარით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრებს ფსიქოლოგთან,თემატური საქმიანობა - არტთერაპიის კომპონენტებით, სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის; მოწვეული სპეციალისტების მომსახურება(კონსულტაცია); პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე ;საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; საინფორმაციო მასალის მომზადება და ბეჭდვა ონკოპაციენტებისათვის; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი. მეორე მიმართულებაა - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მემორანდუმით ან/და ხელშეკრულებით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა პოპულაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვალის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა პოპულაციაში ფარისებრი ჯირკვალის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს;, ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:

1-ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევა;2-ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის

კონსულტაცია;3- ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საეჭვო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში;4-ჩვენების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში ერთხელ.ფარისებრი ჯირკვალის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამაში

1. სულ მონაწილეობა მიიღო 451-მა ქალმა

2. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რიცხვი
26-30 წწ	8
31-35 წწ	19
36-40 წწ	38
41-45 წწ	53
46-50 წწ	53
51-55 წწ	68
56-60 წწ	55
61-65 წწ	85
66-70 წწ	72

3. პროგრამაში ჩართვა კრიტერიუმების მიხედვით:

ოჯახური ანამნეზი	212
იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში	2
ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; დადასტურებული დოკუმენტით	45
E00-E07 — ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; დადასტურებული დოკუმენტით	131
E65-E68 - სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები	273
E70- E90- მეტაბოლური დარღვევები	207
სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო	45
კისრის ლიმფადენოპათია	7
ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება	3
უნაყოფობა	19

4. ჩატარებული კვლევები

ფარისებრივი ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა	451
ენდოკრინოლოგის კონსლტაცია	438
TSH	403

პროგრამის დაწყებიდან 9 თვის პერიოდში, კვლევები ჩაიტარა 451-მა პაციენტმა, 176 პაციენტს დანიშნული აქვს 3 თვიანი მონიტორინგი, 126 პაციენტს 6 თვიანი

მონიტორინგი. 48 პაციენტი გადამისამართდა მდგომარეობის სირთულის გამო ციტოლოგიურ კვლევაზე, მათგან 15-მა ჩაიტარა ციტოლოგიური კვლევა. ციტოლოგიური კვლევის მიხედვით, 2 შემთხვევა საეჭვო ავთვისებიანობაზე, კვლევის შედეგად 6 პაციენტს დაენიშნა ქირურგიული ჩარევა. 4 ოპერაცია ჩატარებულია.

2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრმა ქალბატონებმა ჩაიტარეს შემდეგი კვლევები:

1.კარდიოლოგის კონსულტაცია

2.ელექტროკარდიოგრაფია

3.ენდოკრინოლოგის კონსულტაცია

4. სახსრების ექოსკოპიური კვლევა

5. მუცლის ღრუს ექოსკოპია (საჭმლის მომნელებელი სისტემა, ელენთა, სისხლძარღვები,

საშარდე სისტემა)

6.ფარისებური ჯირკვლის ექოსკოპია

7.გინეკოლოგიური- ვაგინალური კვლევა

8. სისხლის საერთო ანალიზი

9.კრეატინის განსაზღვრა სისხლში

10.ლიპიდური ცვლა (საერთო ქოლესტერინი,მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინი, დაბალი

სიმკვრივის ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები)

11. კალციუმის განსაზღვრა.

12. D ვიტამინი

13. B 12 (ჰოლოტრანკობალამინი)

14. კოაგულორამა გაშლილი

15. თირეომასტიმულირებილი ჰორმონი (TSH)

16.თავისუფალი თიროქსინი (FT 4)

17კარცენო ემბრიონალური ანტიგენი

18 ძუძუს კიბოს მარკერი

19. იონიზირებული CA

20. ღვიძლის ფუნქციები

21. მამოლოგის კონსულტაცია,

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კვლევებისა, „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრები იტარებენ სკრინინგის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ კვლევებს: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40- 70 წწ. ქალები (მამოგრაფია, მამოლოგის მიერ ძუძუს გასინჯვა, საჭიროების შემთხვევაში, ექიმის მოთხოვნით, ძუძუს ექოსკოპია და

ციტოლოგია) საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წწ.(პაპ ტესტი, საჭიროების შემთხვევაში, ექიმის მოთხოვნით, კოლპოსკოპია და ბიოფსია) კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წწ. (ტესტი ფარულ სისხლდენაზე, საჭიროების შემთხვევაში, ექიმის მოთხოვნით, კოლონოსკოპია).

2024 წლის დასასრულამდე დაგეგმილია: გულმკერდის კტ კვლევა, მუცლის ღრუსა და მცირე მენჯის კტ კვლევები, ძვლის სიმკვრივის კვლევა

საანგარიშო პერიოდში (2024 წლის 9 თვე)„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრებს ასევე ჩაუტარდათ ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო ჯგუფური ტრენინგი (8 შეხვედრა) სტრესის დაძლევისა და შემდგომი სოციალიზაციის ხელშეწყობისათვის და ფიზიკური სარეაბილიტაციო ტრენინგი ორგანიზაცია - „ოდაქეარის“ ლანჩხუთის წარმომადგენლობის რეაბილიტოლოგთა მეთვალყურეობით.

„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრებისათვის ასევე ჩატარდა საინფორმაციაო შეხვედრა ოჯახის ექიმებთან და ლანჩხუთის ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. ასევე კულტურული ღონისძიება- ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და დედის დღის აღნიშვნა, დასწრება ლანჩხუთის თეატრის სპექტაკლზე „მერე რა, რომ სველია,სველი იასამანი“.

ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 19-მა ლანჩხუთის კლუბის წევრმა ქალმა. პროგრამიდან გახარჯულია 42000 ლარი.

14.ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500 ლარის ოდენობით. პროგრამიდან გახარჯულია 0 ლარი , პროგრამით ისარგებლა 0-მა ბენეფიციარმა.

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20 000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურეკში. პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე. პროგრამით ისარგებლა 12-მა ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 1000 ლარი. ვალდებულება აღებულია 11 ბენეფიციარის მომსახურეობის დაფინანსებაზე.

16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა-100 000 ლარი ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითერების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწობის მიზნით მომსახურეობის მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით სარგებლობს 101 ბენეფიციარი. საიდანაც 54 არის რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე , ხოლო 47 ბავშვი არის ადრეული განვითარების პროგრამის მოსარგებლე,პროგრამიდან დაფინანსდა სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამიდან გახარჯულია 71402 ლარი.

პროგრამის განხოციელებით შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო მკურნალობის ჩატარებაში. ხელი შეეწყო ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის სევისებზე ხელმისაწვდომობას. მოსარგეებლეებიდან გოგო-38, ბიჭი -63.

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მიერ. პროგრამის ბიუჯეტია - 3000 ლარი. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ , შექმნილი კომისიის თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. პროგრამიდან გახარჯულია 0 ლარი, პროგრამით ისარგებლა 0-მა ბენეფიციარმა.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 7000 ლარი, პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალიწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა,პროგრამიდან გახარჯულია 5000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა. პროგრამის განხოციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი, ხელი შეეწყო ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქალი-4,კაცი-6.

19. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია- ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება , ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 3 000 ლარი, პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს არ განხორციელებულა სახელმწოფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება. შესაბამისად პროგრამით ისარებლა 3-მა ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია -1500 ლარი.

20. 0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს ,რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3500 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს , რომელიც არის ობოლი, წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება, თითოეულ ბავშვზე - 500 ლარის ოდენობით პროგრამით ისარგებლა 7-მა ბენეფიციარმა,ბიჭი-3,გოგო-4. პროგრამიდან გახარჯულია 3500 ლარი. პროგრამის განხოციელებით ხელი შეეწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21. ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 10 800 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთადერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად

შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას.პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში - 300 (სამასი) ლარი. პროგრამით სარგებლობს 3 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 8100 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას. გოგო -1, ბიჭი -2.

22. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 155 000 ლარი, პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით , მაგრამ არაუმეტეს თვეში 500(ხუთასი) ლარისა. პროგრამიდან გახარჯულია-91140 ლარი. პროგრამით სარგებლობს 37 ბენეფიციარი. პროგრამის მეშვეობით ხორციელდება შშმ ბავშვების მკურნალობის ხელშეწყობა. გოგო-7 , ბიჭი-30.

23. რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია-40000 ლარი,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი;(უგულებელყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფიკინგის მხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა ,როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება), ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 4000 (ოთხიათასი) ლარამდე. პროგრამა გათვლილია 8 ბენეფიციარზე. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით მერიის ბავშვის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მშობლების შერჩევა მათი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, განხორციელდება ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ პროგრამა. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დაძლევაზე და ა.შ. განხოციელდება მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. მუნიციპალიტეტი
„პოზიტიური მშობლის“ სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე. პროგრამიდან გახარჯულია 14900 ლარი. პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაიცა 1 ოჯახზე. ხელი შეეწყო 1ოჯახის გაძლიერებას. სოციალური მუშაკის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი.

სამსახურის მიერ მომზადდა 575 საგარანტიო წერილი. სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით მომზადდა მერის მიერ გამოსაცემი 812

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტი . 157 სამსახურეობრივი ბარათი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება დაიწყო 9 ოჯახის გაძლიერების და მხარდამჭერი მომსახურებების მიწოდების მიზნით. სოციალურად და ეკონომიურად მოწყვლად ოჯახებში პრობლემის განსაზღვრის და საჭიროების შეფასების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერი ინსტრუქციის თანახმად მომზადდა 24 სკრინინგის დოკუმენტი (სულ 24 ბავშვი აქედან; 9 ბიჭი და 15 გოგო) რის საფუძველზეც გაგრძელდა სოციალური მუშაობა - ბავშვის/ების და ოჯახების შეფასება, მონიტორინგი და კონსულტირება ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით გაწერილ საჭირო აქტივობებზე, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით - ადვოკატირება სამედიცინო დაწესებულებებთან, განათლების ხელმისაწვდომობისა და ბავშვის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით - კოორდინირებული მუშაობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებთან ადვოკატირება, საჭირო დოკუმენტების მომზადება, ბავშვის ოჯახურ გარემოში შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით ოჯახის მხარდაჭერა და გაძლიერება, სოციალური სერვისების მიწოდება და განვითარება. მ/წლის 9 თვეში განხორციელდა 2022-2023 წლის ქეისებზე მონიტორინგი, რის შემდეგაც იდენტიფიცირებული იქნა არასრულწლოვანის აკადემიური ჩამორჩენა. მშობელს გაეწია ადვოკატირება და გადამისამართდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასების მოთხოვნის მიზნით. ბავშვის და ოჯახების შეფასების დროს გამოვლენილი იქნა მცირეწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევის აუცილებლობა. ასევე დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვანის შეფასების დროს იდენტიფიცირებული იქნა გულის კვლევების საჭიროება. არასამთავრო ორგანიზაცია გიგოს ფონდთან კოორდინირებული მუშაობით ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება საჭირო კვლევების ჩასატარებლად. ასევე ორ არასრულწლოვანზე მომზადდა საჭირო დოკუმენტები და გაეწია ადვოკატირება საგანმანათლებლო დაწესებულებაში არასრულწლოვნების სკოლაში ჩარიცხვის მიზნით.

ასევე , ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის ინსტრუქციის თანახმად, 2023 წლისბიუჯეტითგათვალისიწნებული „რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამი“-ს ფარგლებში 9 ოჯახში განხორციელდა მონიტორინგი.

ასევებავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის ინსტრუქციის თანახმად, 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისიწნებული „რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამი“-ს ფარგლებში ფინანსური დახმარება გაიცა 4 ოჯახზე (9 ბავშვს) , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ჩართულია პროექტში - ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მთავრობის ადმინისტრაციისა და UNICEF -ის კოორდინირებული თანამშრომლობით შემუშავებულ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში - „ბავშვის უფლებასთა კოდექსის საფუძველზე განსაზღვრული უწყებათაშორისო კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყებათაშორისი სისტემის გამართული და კოორდინირებული ფუნქციონირება. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას პროექტის ფარგლებში განსახილველად წარდგენილი აქვს 9 მოქმედი შემთხვევის სახე, პროექტს უძღვება სოფიო კილაძე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრი. პროექტის ფარგლებში მოხდა წინა წლების შემთხვევის სახის მონიტორინგი. გასინჯვის შედეგად ორ ქეისზე განისაზღვრა მეოთხე დონე ზიანის

მწვავე რისკი , რის საფუძველზე დაუყონებლივ გადამისამართდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის გურიის რეგიონალურ ცენტრში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის N1 დადგენილების მიერ ინიცირებულ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, მრავალშვილიანი ოჯახების გასახლების მიზნობრივ პროგრამაში ჩართვის მიზნით ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, განცხადებების მიღება და მომზადებული დოკუმენტების გადაგზავნას სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოში. მ/ წლის პირველ კვარტალში სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოში გადაგზავნილია 50 ბენეფიციარის განცხადება. ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე 5 ბენეფიციარს წერილობითი უარი ეთქვა განცახდებების გადაგზავნაზე.

ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციამ განყოფილებასთან თანამშორმლობის ფარგლებში 3000 (სამიათასი) ლარით ფინასური დახმარება გაუწია 2023 წ. 8 სექტემბერს სტიქიით დაზარალებულ ბავშვიან ოჯახებს/

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან შემოსულ 48 წერილ/ განცხადებაზე.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ განახორციელა მონიტორინგი, კონსულტაცია და ადვოკატირება 25 ოჯახში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა პროექტის
,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების“ ფარგლებში.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ჩართულობით ეკონომიურად მოწყვლად 14 ოჯახს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გადეაცათ სასკოლო ნივთები.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გურიის რეგიონალური ცენტრის წერილის საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ შიესწავლა ოჯახის საჭიროება სადაც რეინტეგრირებული იქნა სამი არასრულწლოვანი (2 - ბიჭი და 1- გოგო), რის შემდეგაც გაეწია ფინანსური დახმარება ,,მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში.

2022 წლის 17 თებერვლიდან საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების ფარგლებში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით. ამ დადგენილების შესაბამისად განყოფილების თანამშრომლების მიერ პროგრამულად ატვირთული იქნა 2024 წლის ვაკანსიები, მომზადდა შესაბამისი რეესტრი ვაკანსიებზე დასანიშნი ბენეფიციარების შესახებ.

ელექტრონულად გაუფორმდათ ხელშეკრულება 392 ბენეფიციარს, ამ დროისთვის ბენეფიციარებთან ფორმდება ხელშეკრულება მატერიალური სახით. ასევე პროგრამის ფარგლებში გასაცემი ინვენტარის რაოდენობის გადამოწმება და შესაბამისი რეესტრის მომზადება, ასევე ყოველთვიურად მიმდინარეობს დასაქმებული ბენეფიციარების მიერ შესრულებული სამუშაო ტაბელების ასახვა ელექტრონულ ბაზაში. ასევე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ორგანიზებით და სოფლის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახელობის, დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლებთან. ასევე განყოფილებამ მოამზადა შესაბამისი დოკუმენტაცია არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მსურველების დასაქმების მიზნით.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახურის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში
2024 წლის პირველი იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით

სამსახურის მიერ, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ორი პროგრამის - განათლების ხელშეწყობისა (კოდი 04.03) და კულტურის ხელშეწყობის ქვეპროგრამის, (კოდი 05.02.02) მერიის დებულებითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

განყოფილებას მიმდინარე პერიოდში, მერის დავალებით განსახილველად და შესასრულებლად დაეწერა წერილები, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება - მომზადდა საპასუხო წერილები, მოხსენებითი ბარათები, დაიგეგმა ღონისძიებები და და განხორციელდა პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებები.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში განათლების ხელშეწყობის პროგრამით -
კოდი (04.03) განხორციელდა შემდეგი საქმიანობა :

მიმდინარე წლის 30 აპრილს დაფინანსდა სსიპ ემზარ წილოსანის სახელობისN 3 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროექტი -,,ჩვენ ყველა ერთმანეთის მეგობრები ვართ".პროექტის ღირებულებამ შეადგინა - 3000 ლარი.

მიმდინარე წლის 2 მაისს დაფინანსდა სსიპ ლესის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროექტი ,,-ეკოტურიზმი და კოლხეთის დაბლობი". პროექტის თანადაფინანსებამ შეადგინა-1200 ლარი

13 მაისს დაფინანსდა - სსიპ ხაჯალიის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროექტი -,,ფოტო-ვიდეო კლუბი". პროექტის თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 2920 ლარი."

მიმდინარე წლის 30 მაისს დაფინანსდა სსიპ ჯურუყვეთის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროექტი-,, ,,ხელოვნების სადარაჯოზე" .თანადაფინანსების თანხამ შეადგინა - 2759 ლარი

1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ,,იავნანასა" და ლესის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს, წახალისების მიზნით გადაეცათ სასწავლო რესურსები და ტკბილეული. სულ 1300 ლარის ღირებულების.

2-3 ივლისს დაფინანსდა საჭადრაკო კლუბის მიერ შემოტანილი პროექტი ,,ჯანსაღი სასწავლო გარემო მშობელი,მოსწავლე,პედაგოგი.თანადაფინანსებამ შეადგინა 1500ლარი.

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს, ქალაქის ცენტრალურ პარკში, საზეიმო ვითარებაში წახალისებული იქნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების ოქროს, ვერცხლისა და 100%- იანი გრანტის მფლობელი , წარმატებული ახალგაზრდები. წახალისების თანხამ შეადგინა: ოქროს

მედალოსანი 25 ახალგაზრდა - 12,500 (თორმერტი ათას ხუთასი) ლარი; ვერცხლის მედალოსანი-1800 (ათას რვაასი) ლარი; 100%-იანი გრანტის მფლობელი 2 სტუდენტი - 2000(ორიათასი) ლარი.

სამსახურის მიერ, განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან შეძენილი იქნა - 2450 ლარის ღირებულების სასაჩუქრე წიგნები, რომლებიც ეტაპობრივად გადაეცემა, ჩვენს წარმატებულ, განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს.

განათლების ხელშეწყობის პროგრამით განსაზღვრული თანხა,
სულ შეადგენდა 46 500 ლარს,
მიმდინარე საბიუჯეტო წელს, სექტემბრის ჩათვლით გახარჯულია სულ - 31129 ლარი,
დარჩენილია - 15371ლარი.

განყოფილების მიერ, კულტურის ხელშეწყობის ქვეპროგრამის, კოდი-05.02.02 ფარგლებში
განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მიმდინარე წლის 18 აპრილს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების მიერ წარდგენილმა საგრანტო პროექტმა - ,,ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა“ გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება.(5000 ევრო) პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ორგანიზაცია - ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველოსა“ და საქართველოში, გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინამსებით. .პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა და მან ჩვენს მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი შედეგი მოუტანა, კერძოდ აღნუსხული 34 ობიექტიდან, 13 შენობა-ნაგებობა აღიარებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულ, არქიტექტურულ ნიმუშად.

მიმდინარე წლის 19-29 მაისს, ,,სენაკი არტ ფესტივალში“ მონაწილე, სუფსის სამუსიკო სკოლის ,,ტამტამების ანსამბლმა“ მოიპოვა ფესტივალის ლაურიატის წოდება და პირველი ადგილი. წარმატებული ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი, ალექსანდრე ჩაჩანიძე წახალისდნენ: ანსამბლი - 800 ლარით, ხელმძღვანელი -300 ლარით;

მიმდინარე წლის, 24 მარტიდან - 15 აპრილის ჩათვლით, ქალაქ თბილისში გამართულ ,,ხელოვნების მე-17 ეროვნულ ფესტივალში,“ ლაურეატის წოდება და პირველი ადგილი მოიპოვა მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ვოკალურმა ანსამბლმა. მიღწეული წარმატებისათვის, ანსამბლის ხელმძღვანელი, ლალი გავაშელაშვილი, კონცერტმაისტერი ნანა მგელაძე და და მისი მოსწავლეები წახალისდნენ ფულადი ჯილოთი: ანსამბლი -800 ლარით; ხელმძღვანელი- 300 ლარით და კონცერტმაისტერი -300 ლარით.

მიმდინარე წლის 10 - 15 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი ,,ჰარიდა“ - სადაც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა ინდირა ღვინჯილიას ხელმძღვანელობით. მათ მოიპოვეს I ადგილი და ლაურეატის წოდება. მიღწეული წარმატებისათვის პედაგოგი და მისი მოსწავლეები წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი: ანსამბლი - 800 ლარით. პედაგოგი - 300 ლარით.

მიმდინარე წლის 13-14-15 ივნისს ქ.თბილისში, ჩატარდა ხელოვნების მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი, სადაც ლაურიატის წოდება მიენიჭა საქართველოს ხელოვანთა კავშირი ,,ხელოვნები მომავლისათვის“ ,,მომავლის ვარსკვლავები“, ლანჩხუთის ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლის პედაგოგს, მარინა ჭყონიასა და მისი ხატვა, ფერწერა, კომპოზიციის კლასის მოსწავლეებს. აქედან გამომდინარე, პედაგოგი მარინა ჭყონია მიღწეული წარმატებისათვის წახალისდა ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო ხატვა, ფერწერა, კომპოზიციის კლასის მოსწავლეები (სულ 5 მოსწავლე) თითოეული, ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი 300 (სამასი) ლარის ოდენობით. სულ წახალისების თანხამ შეადგინა 1800 ლარი.

მიმდინარე წლის 13-14-15 ივნისს ქ.თბილისში, ჩატარდა ხელოვნების მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი, სადაც ლაურიატის წოდება და პირველი ადგილი მიენიჭა საქართველოს ხელოვანთა კავშირი ,,ხელოვნები მომავლისათვის -,,მომავლის ვარსკვლავები“, ლანჩხუთის ვილი ბარამიძის

სახელობის სამხატვრო სკოლის პედაგოგს, მანანა ფირცხალაიშვილსა და მისი ხატვა, ფერწერა, კომპოზიციის კლასის მოსწავლეებს. (ორი მოსწავლე) პედაგოგი წახალისდა -300 ლარით, მოსწავლეები ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი- 300-300 ლარის ოდენობით. სულ თანხამ შეადგინა - 900 ლარი.

მიმდინარე წლის 2-8 აპრილს ქალაქ ზესტაფონში გაიმართა, ქართული კლასიკური მუსიკის YIII ეროვნული კონკურსი, სადაც წარმატებას მიაღწია კერძოდ, III პრემია და ლაურიატის წოდება მიენიჭა, სუფსის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო კლასის მოსწავლეს ანა არიშვილს , პედაგოგი ნარგიზ სიმონიშვილი. პედაგოგი წახალისდა ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი - 100 ლარით, მოსწავლე -100 ლარით. წახალისების თანხამ სულ შეადგინა 200 ლარი

მიმდინარე წლის 2-6 ივნისს ქ. ლანჩხუთში, ჩატარდა, კარლ ჩერნის სახელობის II რესპუბლიკური კონკურსი, სადაც II პრემია და ლაურიატის წოდება მიენიჭა, ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო კლასის მოსწავლეს ბარბარე კვაჭაძეს, პედაგოგი ლელა ზენაიშვილი . მიღწეული წარმატებისათვის მოსწავლე წახალისდა ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი - 200ლარით და პედაგოგი ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი-200 ლარით. სულ წახალისების თანხამ შეადგინა -400 ლარი.

მიმდინარე წლის 2-6 ივნისს ქ. ლანჩხუთში, კარლ ჩერნის სახელობის II რესპუბლიკურ კონკურსში, III პრემია და ლაურიატის წოდება მიენიჭა, ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო კლასის მოსწავლეს, თამარ კურტანიძეს, პედაგოგი - ლელა ზენაიშვილი. აქედან გამომდინარე, მიღწეული წარმატებისათვის, თამარ კურტანიძე წახალისდა ფულადი ჯილდოთი 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო მისი პედაგოგი ლელა ზენაიშვილი, ფულადი ჯილდოთი 100 (ასი) ლარის ოდენობით. სულ ფულადი ჯილდოს ოდენობამ შეადგინა - 200 ლარი.

5 სექტემბერი სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში გამართული ,,თევზის ფესტივალი“ გახარჯული თანხა 11990 ლარი.

მიმდინარე წელს, კულტურის ხელშეწყობის ქვეპროგრამით (კოდი 05.02.02) გათვალისწინებული იყო - 31000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

გახარჯულია 18790ლარი,

დარჩენილია - 12210 (თორმეტიათას ორას ათი) ლარი.

IV თავი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულლი ა(ა)იპ-ების ბიუჯეტები

04 01 -სკოლამდელი განათლება

ა(ა) ი პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით,სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი,რომელშიც ირიცხება 800 აღსაზრდელი.აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი(ნიგვზიანის,ნინოშვილის,აკეთის,გულიანისა და ღრმაღელის) რეაბილიტაცია უკეთდება ჩიბათის,ეწრის,ჯურუყვეთისა და შრომისუბნის ბაღებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 3189913 (სამიმილიონ ასოთხმოცდაცხრაათას ცხრაასცამეტი ლარს, საიდანაც გახარჯულია 2726552 (ორიმილიონ შვიდასოცდაექვსიათას ხუთასორმოცდათორმეტი)ლარი.

კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება %-ში
401	სკოლამდელი განათლება	3189913	2726552	85%

მათ შორის:
შრომის ანაზღაურება- გეგმით - 2147656 ლარი,გახარჯულია-1981111 ლარი

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-გეგმით 148270 ლარი,გახარჯულია-148270 ლარი
მივლინება - გეგმით 6000 ლარი,გახარჯულია -5268 ლარი
ოფისის ხარჯი -გეგმით 350920 ლარი, გახარჯულია -299944 ლარი
რბილი ინვანტარი და უნიფორმა - გეგმით 22470ლარი, გახარჯულია -9786 ლარი
კვების ხარჯი -გეგმით 315153 ლარი, გახარჯულია - 162610 ლარი
ტრანსპორტის ხარჯი - გეგმით 68930 ლარი, გახარჯულია -23391 ლარი
სხვა დანარჩ.საქონელი და მომსახ.ხარჯი -გეგმით 55214 ლარი,გახარჯულია -45796 ლარი
სოც უზრუნველყოფის ხარჯი - გეგმით 15000 ლარი, გახარჯულია -7461ლარი
არაფინანსური აქტივები - გეგმით 60300 ლარი, გახარჯულია -42915 ლარი

05 02 01 01 -კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ არის კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება , რომლის ძირთადი მიზანი და ამოცანებია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; კულტურული ღონისძიებათა ორგანიზება და გამართვა, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა საზეიმო, შემოქმედებითი და საქველმოქმედო ღონისძიება:სახალხო დღესასწაული „ლელო“, მოწვეულ იქნა კვარტეტი „რანინა“, დაიდგა ლიტერატურული კომპოზიცია „სიყვარულის მოზაიკა“, გაიმართა ანსამბლ „აცაურას“ შემოქმედებითი საღამო,სუფსის კულტურის სახლში გაიმართა შემაჯამებელი საღამო, მოეწყო მუზეუმების საერთაშორსო დღისადმი მიძღვნილი საღამოები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვილი ღონისძიება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, მონაწილეობა მივიღეთ სხვადსხვა კონკურსებსა და ფესტივალში,ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ქართული სული“ მონაწილეობა მიიღო წაღვერში გამართულ ფესტივალში, საზღვარგარეთ ფესტივალში მონაწილება მიიღო სამეჯლისო ცეკვებისა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“. განახლდა სპექტაკლი „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“,მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო კვლევითი ღონისძიება სახელწოდებით - „ქვაჯვარა“,გაიმართა საჯარო და კერძო სკოლების მედალოსან და 100%-იანი გრანტის მფლობელ მოსწავლეთა დაჯილდოების ღონისძიება. ნაწილობრივ დასრულდა ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის კაპიტალური რემონტი.

ათ.ლარი

	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05020101	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	1127,350	1102.350	25,0	933,650	919,270	14.380	82,8%	83,4%	58%

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 1102350 ლარს, საიდანაც გახარჯულია 919273 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 339250 ლარი, გახარჯულია - 319797 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 382500 ლარი, გახარჯულია - 370197ლარი;
- მივლინება გეგმით-15000 ლარი,გახარჯულია-12281ლარი.
- ოფისის ხარჯი -გეგმით - 70000 ლარი, გახარჯულია - 49768 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი- გეგმით 20000 ლარი, გახარჯულია - 16555 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქ.და მომსახურება გეგმით -124600 ლარი, გახარჯულია - 73970 ლარი;
- რბილი ინვენტარი- გეგმით - 20000 ლარი, გახარჯულია - 12576 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით-15000 ლარი,გახარჯულია-12059 ლარი.
- სხვა ხარჯები გეგმით-25000,გახარჯულია-0 ლარი.
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 111000 ლარი, გახარჯულია - 52070 ლარი.

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა - 6248 ლარი.

2024 წელს საკუთარი შემოსავლების 9 თვის გეგმა შეადგენს - 25000 ლარს, შემოსულია -12163 ლარი. აქედან გახარჯულია -14376,5 ლარი:

- შრომითი ანაზღაურება გეგმით-750 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- შტატგარეშე მომუსავეთა ანაზღაურება გეგმით-11500,გახარჯულია-5736,50 ლარი.
- ოფისის ხარჯი გეგმით- 6500 ლარი, გახარჯულია -1890 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით -1000 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით -2000 ლარი, გახარჯულია -1050 ლარი;
- მივლინება გეგმით -500 ლარი, გახარჯულია -0 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით-750 ლარი, გახარჯულია - 5000ლარი;
- არაფინანსური აქტივები გეგმით - 2000ლარი, გახარჯულია -700 ლარი.

ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩა - 4035,26 ლარი

05 01 01 05 ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა 2024 წლის 9 თვის ანგარიში

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები.

დღეის მდგომარეობით საფეხბურთო სკოლას ჰყავს 9 ასაკობრივი გუნდი ვაჟებში და ერთი გოგონათა გუნდი, სულ 220 მოზარდი. სკოლაში დასაქმებულია 44 ადამიანი, აქედან უშუალოდ სპორტსმენებთან დასაქმებულია 22 მწვრთნელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 22.

ხუთი ასაკობრივი გუნდი U-10, U-11, U-13, U14, U-15 მონაწილეობას იღებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ გათამაშებაში, სადაც ფეხბურთელებს დღეის მდგომარეობით ჩატარებული აქვთ 78 თამაში.

ასევე U-10 ასაკობრივ გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბ.პატარკაციშვილის სახელობის ფესტივალში.

მოზარდებს ათივე ასაკობრივ ჯგუფში რეგულარულად უტარდებათ ვარჯიშები კვირაში 3-4 ჯერ გეგმის მიხედვით.

ათ. ლარი

	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05010105	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	440.33	390.08	50.25	388.05	344,2	43.85	88,1%	88.2%	87.3%

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 390080 ლარს, საიდანაც გახარჯულია 344205 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება_ გეგმა-57675 ლარი, გახარჯულია- 57618 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება_ გეგმა-256925 ლარი, გახარჯულია- 227970 ლარი;
- მივლინება_ გეგმა-5500 ლარი, გახარჯულია- 3896 ლარი;
- ოფისის ხარჯი_ გეგმა-5580 ლარი, გახარჯულია-5820 ლარი;
- კვების ხარჯი_ გეგმა-7500 ლარი, გახარჯულია-4265 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი_ გეგმა-1000 ლარი, გახარჯულია-528 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი_გეგმა-3250ლარი, გახარჯულია-3250 ლარი;
- ტრანსპორტის და საწვავის ხარჯი_გეგმა-16000 ლარი, გახარჯულია-10488 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება_გეგმა-31750 ლარი, გახარჯულია-25470 ლარი;
- არაფინანსური აქტივები_გეგმა-4900 ლარი, გახარჯულია-4900 ლარი.

საკუთარი სახსრები

	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05010105	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	50.25		50.25	43.85		43.85	87.3%		87.3%

საკუთარი სახსრების ცხრა თვის გეგმა შეადგენს 50255 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 43855 ლარი, მათ შორის:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება_გეგმა-24000 ლარი,გახარჯულია - 21285 ლარი;
- მივლინება_ გეგმა-540 ლარი, გახარჯულია-480 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი_ გეგმა-2400 ლარი, გახარჯულია-1560 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი_გეგმა-8485 ლარი, გახარჯულია-8000 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი_ გეგმა-3000 ლარი, გახარჯულია-1900 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება_ გეგმა-9400 ლარი, გახარჯულია- 8200 ლარი;
- სხვა მიმდინარე ტრანსფერები_ გეგმა-2430 ლარი, გახარჯულია- 2430 ლარი.

05 02 01 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ლანჩხუთის ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ ღონისძიებებში: საშობაო, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ, დედაენის დღისადმი, სახალხო დღესასწაული,,ლელო", საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, პარალელურად მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსებსა და კონკურს-ფესტივალებში: ხელოვნების მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი,,მომავლის ვარსკვლავები“, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-

ფესტივალი, ქართული მუსიკის მე-8 ეროვნული კონკურსი, დასავლეთ საქართველოს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი ,,სენაკი არტ-ფესტივალი-2024“, კ.ჩერნის სახელობის II რესპუბლიკური კონკურსი, ბადრი პატარკაციშვილის სახელობის ქართული ფოლკლორული ხელოვნებისა და სპორტული სანახაობრივი ღონისძიება.
აღნიშნულ კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა მიიღო -144 მოსწავლემ;
ლაურეატის წოდება მიენიჭა -37 მოსწავლეს;
საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა -71 მოსწავლე;
საპატიო სიგელი - 36 მოსწავლე.

ათ. ლარი

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 6 თვის გეგმა			2024 წლის 6 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
05020102	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	294,83	273,5	21,33		256,58	17,64		93,8	82,7

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 273500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 256577 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 224000 ლარი, გახარჯულია - 223291 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 17880ლარი, გახარჯულია - 17880 ლარი;
- ოფისის ხარჯი -გეგმით - 7960ლარი, გახარჯულია - 6631 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი- გეგმით - 2250ლარი, გახარჯულია - 1875 ლარი;
- სხვა ხარჯი- გეგმით- 3000 ლარი, გახარჯულია - 2100 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქ.და მომსახურება გეგმით -4910 ლარი, გახარჯულია - 4800 ლარი;
- რბილი ინვენტარი- გეგმით - 1000ლარი, გახარჯულია - 0 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 12500 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი.

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა - 8380 ლარი.
2024 წელს მშობელთა შემონატანის 6 თვის გეგმა შეადგენს - 21330 ლარს, შემოსულია - 17644 ლარი. აქედან გახარჯულია - 22518 ლარი:

- შრომითი ანაზღაურება გეგმით-2000 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- მივლინება გეგმით - 1000 ლარი, გახარჯულია - 186 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით- 10700 ლარი, გახარჯულია -5110 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით -7300 ლარი, გახარჯულია -5080 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით -4330 ლარი, გახარჯულია -3850 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით-1170 ლარი, გახარჯულია - 1363 ლარი;
- არაფინანსური აქტივები გეგმით - 8380ლარი, გახარჯულია - 6929 ლარი.

ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 3505.75 ლარი

05010101 სპორტული ცენტრის ხელშეწყობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური, სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას, მოსწავლის ფიზიკური აქტივობის განვითარებას.

მოზარდისთვის სპორტი გარდა ჯანმრთელობისა არის მეგობრების შეძენის, თანატოლებთან ურთიერთობების, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისა და საჯარო აღიარების მოპოვების შესაძლებლობა.

ახალგზრდები, რომლებიც ჩართული არიან სპორტულ აქტივობებში არიან უფრო ჯანმრთელები, უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ, ისინი მეტად გახსნილები და აქტიურები არიან.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სექციების მუშაობა სპორტის 10 სახეობის მიმართულებით: ქართულიჭიდაობა, ბ/რომაულიჭიდაობა, თავისუფალიჭიდაობა, კარატე, რაგბი, ჭადრაკი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა დ ატანვარჯიში, ასევე ფუნქციონირებს პარასპორტულ ისექცია,სადაც გაერთიანებულიარია შშმ ბავშვები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება, სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონერებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, სპორტული დარბაზების მოვლა-შენახვა, სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სიგელების და ჯილდოების შეძენა-დამზადება, სპორტული ინვენტარ-აღჭურვილობის შეძენა, სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა და სპორტული ღონისძიებების მოწყობის ხარჯები.

	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარისახსრები	სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფოფონდები	საკუთარი სახსრები
05010101	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	572.0	560.0	12.0	503.6	496.8	6.7	88,0	88.7	55,8

ქვეპროგრამი სფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 560 000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 503570 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება -გეგმით - 67 500 ლარი, გახარჯულია - 60462 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება- გეგმით - 300 000 ლარი, გახარჯულია -
- 299 900 ლარი;
- მივლინება გეგმით 20 000 ლარი, გახარჯულია 17 757 ლარი
- ოფისის ხარჯი -გეგმით - 28 800 ლარი, გახარჯულია - 27 738 ლარი;

- სამედიცინო ხარჯი-1000, ფაქტიურად გახარჯულია 350 ლარი.
- რბილი ინვენტარის ხარჯი გეგმით 3100 ლარი , გახარჯულია 3085 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით 27 000 ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 25 644 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაბა გეგმით -15 000 ლარი, გახარჯულია - 15 222 ლარი;
- მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული გეგმით 47 600 ლარი, გახარჯულია - 46 135 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -გეგმით- 50 000 ლარი, გახარჯულია - 7277 ლარი.
- ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობებმა 2024 წლის 9 თვის მანძილზე 61-ჯერ მიიღეს მოაწილეობა ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის :
- ბ/რომაული ჭიდაობამ ქვეყნის მაშტაბით მოაწყო 12 გასვლა და მოიპოვა 3 ოქროს, 6 ვერცხლის და 12 ბრინჯაოს მედალი.
- თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ჭიდაობის ფედერაციის მიერ მოწყობილ 10 ღონისძიებაში, სადაც მოიპოვა 7 ოქრო, 6 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი.
- ქართული ჭიდაობის სპორტსმენებმა მარტის თვეში ადგილზე ჩაატარეს აფხაზეთის ომში დაღუპული ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მოწვეული იყვნენ ქვეყნის მაშტაბით სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები, გამარჯვებულებს შევუძინეთ ჯილდოები (თასები და მედლები). ასევე ქონდათ ერთი გასვლა ქუთაისში, ჩვენმა სპორტსმენებმა სულ მოიპოვეს 4 ოქროს, 5 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი.
- რაგბის გუნდის სპორტსმენებმა ქვეყნის მაშტაბით 19-ჯერ მიიღეს მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებაში, ისინი დასავლეთ საქართველოს მაშტაბით ბრინჯაოს ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. გუნდი იმყოფებოდა ერთკვირიან სასწავლო საწვრთნელ შეკრებაზე ქობულეთში.
- ჭადრაკის გუნდმა 2024 წელს წარმატებებით მიიღო მონაწილეობა ქვეყნის მაშტაბით გამართულ 10 ღონისძიებაში. სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა მოიპოვეს 12 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.
- მაგიდის ჩოგბურთის გუნდმა მონაწილეობა მიიღო 4 ღონისძიებაში და მოიპოვა 1 ოქროს მედალი.
- კარატეს გუნდის სპორტსმენებმა 6 შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს 10 ოქროს, 9 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი.

სულ სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა 9 თვის მანძილზე მოიპოვა 22 ოქროს 21 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი.

საკუთარი სახსრების ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის ნაშთი იყო 159 ლარი. ხოლო 9 თვის მანძილზე შემოსავლამა შეადგინა 10917 ლარი ხოლო გახარჯულია 6709 ლარი. ნაშთი 1 ოქტომბრისათვის ნაშთი იყო 4367 ლარი.

060101-საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება,ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება.

	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფ სფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმასულ	სახელმწიფ სფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფონდები	საკუთარისახსრები
060101	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	271612	247450	24162	218846	199983	18863	80.6	80.8	78.1

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის გეგმიური აცრები 0-18 წლის ასაკობრივი ჯგუფებისთვის,ერთ წლამდე ბავშვების ასაკობრივი რაოდენობიდან საანგარიშო პერიოდში ჰექსა ვაქცინით აიცრა - 95 ბავშვი.მოცვის % 66,43.წითელა-წითურა-ყბაყურას ვაქცინის 2 დოზით 245-დან აიცრა 158 ბავშვი 5-დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.მოცვის %-ია 64,49.პაპილომა ვირუსის საწ.ვაქცინით 10-დან 13 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 716-დან აიცრა 139 ბავშვი.მოცვის %-ია 19,41.C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 2486 პირს,აქედან დადებითი აღმოჩნდა 13 შემთხვევა.ინფექციური დაავადებების შემთხვევები დაფიქსირდა შემდეგი:ყივანახველა-2,ქუნთრუშა-8,ჩუტყვავილა-17,სავარაუდო საკვებისმიერი ინტოქსიკაცია მიიღო-475 პირმა,ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია-295.ბორელიოზი-2,ტუბერკულოზი-5.სეზონური გრიპის ვაქცინაცია ჩაუტარდა 18 პირს,მალარიის ელიმინაციის მიზნით სისხლის სქელი წვეთის დიაგნოსტიკა ჩაუტარდა 90 პირს.მალარიის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აღრიცხული წყალსატევების პასპორტიზაცია,კოღოს ნაჩეკები აღმოჩნდა შემდეგ წყალსატევებზე:ხიდმაღალა-2.2ჰა,ღრმაღელე-1.8ჰა,გრიგოლეთი-2,7ჰა-დან 0,7ჰა-ზე,ყვავილნარის 2ჰა-დან 0,5 ჰა-ზე.მალარიის გადამტანების წინააღმდეგ ჩატარდა პროფილაქტიკური ღონისძიებები.კერძოდ: ინსექტიციდით დამუშავდა 600000კვ.მ.ფართობი ზღვისპირა ზოლში.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა 59 საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში,საზოგადოებრივი მნიშვნელობის 17 ობიექტში.ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით მოხდა 17 საბავშვო ბაღის დეზინფექცია-დერატიზაცია.
პროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 247450 ლარს,გახარჯულია 199983 ლარი.

- შრომისანაზღაურება - გეგმა-112500 ლარი,გახარჯულია- 111322 ლარი;
- შრომითიხელშეკრულებითდასაქმებულპირთაანაზღაურება -გეგმა-21000 ლარი,გახარჯ- 25987 ლარი;
- მივლინება -გეგმა-3000 ლარი,გახარჯულია- 2241 ლარი;
- ოფისისხარჯი - გეგმა-6300 ლარი,გახარჯულია- 4080 ლარი;
- სამედიცინოხარჯი -გეგმა-350 ლარი,გახარჯულია- 100 ლარი;
- ტრანსპორტისხარჯი -გეგმა-6350 ლარი,გახარჯულია- 4514 ლარი;
- სხვადანარჩენისაქონელიდამომსახურება -გეგმა-8750 ლარი,ფაქტიური- 5400 ლარი;
- არაფინანსური აქტივი - გეგმა-89200 ლარი,გახარჯულია-46340 ლარი.
- საკუთარი სახსრების ცხრა თვის გეგმა შეადგენს 24162 ლარს,გახარჯულია_18863 ლარი.
- შრომისანაზღაურება- გეგმა-16239 ლარი,გახარჯულია-13912 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება -გეგმა-2136 ლარი,გახარჯულია- 2260 ლარი;

- სამედიცინო ხარჯი -გეგმა-1500 ლარი,გახარჯულია- 478 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი-გეგმა-2770 ლარი,გახარჯულია-960 ლარი.
- 2024 წლის 1 იანვრისთვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა-7624.55 ლარი,

  პროგრამული და საკუთარი შემოსავალი იყო-32212.97 ლარი,გაიხარჯა-20313.4 ლარი

  და ანგარიშზე ნაშთის სახით დარჩა-19524.12 ლარი.

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მ უნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონიძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. რომელსაც ემსახურება 34 მეეზოვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1050 ურნა, ყოველდღიური დასუფთავების შედეგად მუნიციპალიტეტიდან გადის 70 მ³ ნარჩენის გატანა ხორციელდება 12 ნაგავმზიდის მეშვეობით და 2 ერთეული სატვირთო (ნაგავმზიდი) ზარის პრინციპით კვირაში 2 ჯერ, ფოთის, სამტრედიის, ურეკის და ოზურგეთის (მერის) ნაგავსაყრეზე.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული სკვერების დაგვა-დასუფთავება. ქალაქისა და სოფლების აღჭურვა სანაგვე კონტეინერებით. ქალაქის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. განსაკუთრებული ინტენსივობით ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა საკურორტო სეზონის დროს. ნაგავსაყრელზე 2024 წელს III-ე კვარტლის მდგომარეობით შეტანილი იქნა 18900 კბ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, აღდგენილი იქნა 115 ცალი 1.1 კუბ.მ მოცულობის სანაგვე ურნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ემსახურება 12 ერთეული ნაგავმზიდი და 2 ერთეული სატვირთო (ნაგამზიდი) სატრანსპორტო საშუალება.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები

03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1664,0	1658.5	5,5	1579,8	1574.4	5,4	93,4	94,9	98,5

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 1658500 ლარს,საიდანაც გახარჯულია 1574379 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა 193500 ლარი გახარჯულია - 191970 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა 782000 ლარი გახარჯულია - 778104 ლარი;
- მივლინების ხარჯი გეგმა 2500 ლარი გახარჯულია - 480 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით 75100 ლარი გახარჯულია - 72994 ლარი;
- რბილი ინვენტარი ხარჯი გეგმით 5000 ლარი გახარჯულია - 4196 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი გეგმით 500 ლარი გახარჯულია - 150 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით 460400 ლარი გახარჯულია - 398869 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით 24500 ლარი გახარჯულია - 23432 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით 115000 ლარი გახარჯულია - 104185 ლარი;

საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 5500 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 5420 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა 5500 ლარი, გახარჯულია - 5420 ლარი;

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებშ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში).
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. გარე განათების განყოფილება ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სოფლის 347 მრიცხველის 5350 ერთეული სანათი მოწყობილობას, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე 6750 სანათი მოწყობილობას. სამსახურის მიერ შეცვლილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები. ქსელის ექსპლოატაციას ემსახურება ორი ერთეული ამწე კალათა.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	223,0	223,0	0.0	164,3	164,3	0.0	73,7	73.7	0.0

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 223000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 164279 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 18000 ლარი, გახარჯულია - 17410 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 65800 ლარი, გახარჯულია - 61364 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 67000 ლარი, გახარჯულია - 45364 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 34500 ლარი, გახარჯულია - 13616 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 35000 ლარი, გახარჯულია - 26525 ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა , განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში გასუფთავდა და კეთილმოეწყო როგორც ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიები. გაიწმინდა სარეველა ბალახებისა და ეკალ-ბარდისაგან მრავალწლიანი ხე-მცენარეები, ხოლო მარადმწვანე ბუჩქები (ტუიები, ემანიუსები) გაისხლა და გაიკრიჭა. ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო უნიკალური მრავალწლიანი დეკორატიული მწვანე ნარგავები, ხოლო 8500 (რვაათასხუთასი) ერთწლიანი კულტურა. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე კირიანი ხსნარით შეთეთრდა 500-ზე მეტი ხე.

სისტემატიურად ხდებოდა პარკებში არსებული მწვანე საფარისა და სხვადასხვა კულტურების რწყვა და მინერალური სასუქებით განოყიერება. ბილიკების გათავისუფლება სარეველა ბალახებისაგან გარდა სათიბი აპარატისა ხდებოდა შხამ-ქიმიკატებით. ქალაქის მასშტაბით სპეციალურ დადგენილ ნორმებში ხორციელდება სანიტარულ გამოხშირვითი ჭრები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისღელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის ღელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე,დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან. ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების შეწამვლითი და გაცელვითი სამუშაოები.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
03 02	კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი	214,2	214,2	0.0	192,6	192,6	0.0	89,9	89,9	0.0

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 214250 ლარს, საიდანაც გახარჯულია 192599 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა -29250 ლარი, გახარჯულია - 28440 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 161000 ლარი, გახარჯულია -146822 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით -6500 ლარი, გახარჯულია - 2983 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით -4000 ლარი, გახარჯულია - 1719 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 13500 ლარი, გახარჯულია - 12635 ლარი;

02 02 02 წყლის სისტემების ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ახორციელებს 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:
- დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები;
- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- დაზიანებული ტუმბოების შეკეთება.

ტექნიკური წყლის სისტემის ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხდება მწყობრიდან გამოსული არსებული სისტემის აღდგენა, რეაბილიტაცია, რაც შესაძლებელს ხდის მუნიციპალიტეტის სოფლები მომარაგებული იყოს ტექნიკური წყლით და მათ ჰქონდეთ 24 საათიანი წყალმომარაგება.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
02 02 02	ტექნიკური წყლის სისტემების ექსპლოატაცია	169,1	169,1	0.0	105,1	105,1	0.0	62,1	62,1	0.0

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 169125 ლარს, საიდანაც გახარჯულია 105130 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 17125 ლარი, გახარჯულია - 16380 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 60000 ლარი, გახარჯულია - 58392 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 5050 ლარი, გახარჯულია - 2292 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით -2550 ლარი, გახარჯულია - 1343 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 44400 ლარი, გახარჯულია - 17263 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 40000 ლარი, გახარჯულია - 9461 ლარი;

02 07 მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომლებიც იმოძრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით: 2 ერთეული ეწერი-ქვიანი, 1 ერთეული ლანჩხუთი-აცანა- მამათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-ჩოჩხათი, 1 ერთული ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა.

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლებთან დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება ლანჩხუთი-აკეთი, ლანჩხუთი-ჯურყვეთი-ნინოშვილი, ლანჩხუთი-სუფსა-ჩოჩხათი, ლანჩხუთი-არჩეული-მოედანის მიმართულებით.

5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 20 საშტატო ერთეულს სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
02 07	საქალაქთაშორიშო ტრანსპორტისა და მექანიზაციის განყოფილება	194,0	194,0	40,0	99,9	99,9	0.0	51,5	51,5	31,9

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 194000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 99915 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 14000 ლარი, გახარჯულია - 8240 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 56800 ლარი, გახარჯულია - 42355 ლარი;
- მივლინების ხარჯი გეგმა 600 ლარი გახარჯულია - 270 ლარი;
- სხვა ხარჯი გეგმით - 6000 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 19000 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი;

საკუთარი სახსრების ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 40000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 12552 ლარი.

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 40000 ლარი, გახარჯულია - 12552 ლარი;

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიება

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში ჩატარდა უმეთვალყურეოდ დარჩენილი მიუსაფარი ძაღლების მონიტორინგი. დაჭერილი იქნა 82 სული ძაღლი, რომლებიც არიან განსაკუთრებით აგრესიულები ადამიანების მიმართ და მოხდა მათი თავშესაფარში დროებით გადაყვანა და კვება.

ორგ კოდი	დასახელება	2024 წლის 9 თვის გეგმა			2024 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	ფაქტი სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიება	15,0	15,0	0.0	13,8	13,8	0.0	91,8	91,8	0.0

ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 15000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 13776 ლარი.

- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 15000 ლარი, გახარჯულია - 13776 ლარი;